ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ

1977
ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ
13
ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ
№ 240
(16980)
ᲨᲐᲑᲐᲗᲘ
2 ᲙᲐᲠᲘ
1977

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲕᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲖᲣᲠᲘᲜᲨᲘ, 12 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲛᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ მონოლითური შეკავშირების ატმოსფეროში მიმდინარეობდა და რესპუბლიკის პარტიული აქტივის გაფართოებული კრება.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲡᲗᲐᲜ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ ᲨᲔᲘᲙᲠᲘᲑᲐ 20 ᲐᲗᲐᲡᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲙᲐᲪᲘ. ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲔᲫᲦᲕᲜᲐ ᲐᲛ ᲛᲝᲔᲓᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲐᲡ.



ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 1977 ᲬᲚᲘᲡ 12 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ. ᲕᲚ. ᲒᲘᲜᲖᲑᲣᲠ�გᲘᲡ ფოტო.

ᲨᲠᲝᲛᲐ, ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ, ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

— ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲛᲐ, ᲘᲡᲔᲕᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ, ᲡᲐᲮᲚᲝᲠᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡᲣᲠᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ�პᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲔᲑᲐᲓ ᲓᲦᲔᲒᲐᲛᲝ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲠᲗᲝ-ᲡᲐᲮᲚᲝᲠᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲛᲨᲕᲔᲓᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲔᲓᲠᲘᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲛᲝᲜᲬᲘᲚᲔᲑᲓᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ. ᲐᲛ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲛᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ ᲛᲝᲜᲝᲚᲘᲗᲣᲠᲘ ᲨᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲢᲛᲝᲡᲤᲔᲠᲝᲡᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲓᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲛᲝᲜᲬᲘᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲬᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲐᲦᲘᲠᲘᲪᲮᲕᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲔᲝᲗᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ. ᲛᲐᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲛᲝᲜᲬᲘᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ, ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲒᲐᲜᲝᲡ ᲓᲐ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲐᲖᲔ ᲐᲦᲘᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲗᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗ ᲓᲐᲛᲙᲕᲔᲓᲠᲘᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ — ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲘᲡᲬᲠᲐᲒᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲗᲕᲚᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ�პᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲓᲐᲛᲙᲕᲔᲓᲠᲘᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲐ.

ᲫᲐᲚᲐᲨᲘ ᲨᲔᲕᲘᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲠᲗᲝ-ᲡᲐᲮᲚᲝᲠᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲛᲝᲜᲬᲘᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲑᲘ, ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲔᲑᲘ, ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ, ᲡᲐᲮᲚᲗᲐ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ, ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ, ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ, ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ, ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ — ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ 200 ᲐᲗᲐᲡᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲛᲘᲠᲐᲯᲐᲜᲝ, ᲐᲛ ᲡᲐᲧᲝᲤᲚᲘᲡᲗᲐᲠᲗᲐᲠᲗᲝ-ᲡᲐᲮᲚᲝᲠᲗᲐ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲘᲡᲨᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ.

ᲐᲛ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲐᲡ ᲛᲝᲔᲫᲔᲑᲜᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲚᲔᲝᲜᲘᲓ ᲘᲚᲘᲩᲘᲡ ᲫᲔ ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲔᲑᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲘᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ — ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲗᲐ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲓᲦᲔᲒᲐᲜᲝᲡ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲐᲖᲔ ᲐᲦᲘᲠᲘᲪᲮᲕ

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენების დასასრული

ამრიგად, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სსრ კავშირის კონსტიტუციის შემოქმედი გახდა ადრეთვე ქართველი ხალხიც, რისპუბლიკის ყველა მშრომელი.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, **რომ** საყოველთაო-სახალხო განხილვამ ხელი შეუწყო პროექტის მთელი რიგი დებულებების დახვეწას, რომელთა მიზანია სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება.

რაც შეეხება სსრ კავშირის კონსტიტუციაში ახალი მუხლის — ამომრჩეველთა განაწესებადმი მიძღვნილი მუხლის შეტანას, ეს სოციალისტური დემოკრატიის ერთ-ერთი რეალური გამოვლინებაა.

ამასთან დაკავშირებით ნება მიბოძეთ „მაყოფილებით განვაცხადო, რომ საქართველოს სს რესპუბლიკისაგან წარგზავნილმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა პირნათლად შეასრულეთ განაწესი, რომელიც ჩვენ მოგვცეს ამომრჩეველებმა, რომელთა კრებები გაიმართა შესაბამის ოლქებში, აგრეთვე მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა, საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის წარმომადგენელთა რესპუბლიკური კრების მონაწილეებმა.

სესიის დამთავრებას შემდეგ მოსკოვიდან დაბრუნდა და დღეს აქ, ამ დარბაზში, ჩვენს შორის იქყოფება, ძვირფასო ამხანაგებო, საქართველოს სს რესპუბლიკიდან წარგზავნილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ჯგუფი დეპუტატი.

და დღეს კომუნისტებს, მთელ ჩვენს ხალხს მოვახსენებთ:

ჩვენ მოგვცეს განაწესი — სესიაზე საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელის სახელით ულრმესი მადლობა მოგვეხსენებინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს. პირადად ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისათვის ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ჭეშმარიტად შემოქმედებითი, ნდობითა და კეთილმოსურნეობით აღსავსე ატმოსფეროსათვის, რომელშიც ჩვენ მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ვიხალისენთ და ვშრომობთ და რომელსაც ამიერიდან მრავალფეროვნად გააცისკროვნებს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძირითადი კანონის ისტორიული ოპტიმიზმი.

ჩვენ დაკავალეს განსაკუთრებული მადლობა გვეთქვა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისათვის, რომელიც ლენინურად ზრუნავს საბჭოთა საქართველოზე, მის პარტიულ ორგანიზაციაზე, მის მშრომელებზე, ამ ზრუნვის შესანიშნავი დადასტურებაა ცნობილი დადგენილებანი ჩვენი რესპუბლიკის შესახებ, რომლებიც ამ ბოლო წლებში მიიღო მისი ინიციატივით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა.

და ჩვენ ეს განაწესიც შეავასრულეთ!

ორივე პალატის—კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს — სხდომებზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევზე ითქვა ყველაზე კეთილი, ყველაზე გულითადი. ყველაზე წრფელი სიტყვები, ითქვა, რომ იგი არის საბჭოთა ხალხის ერთგული შვილი, კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოსა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამორჩეული მოღვაწე, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის მეზნეური მებრძოლი, ერთგული და თანმიმდევრული მარქსისტ ლენინელი, გულისხმიერი და ყურადღებიანი ხელმძღვანელი, ალალი და გულითადი ადამიანი.

ჩვენ მოგვცეს განაწესი — ხმა მიეცეა საბჭოთა საქართველოს მშრომელთა სახელით სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებისათვის.

ეს განაწესიც შეგისრულეთ!

საქართველოს სს რესპუბლიკისაგან წარგზავნილმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ყველა დეპუტატმა, ისევე როგორც საბჭოთა ხალხს ყველა წარმომადგენელმა ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში, ერთსულოვნად მისცა ხმა ჩვენი ცხოვრების ახალი ძირითადი კანონის დასამტკიცებლად. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია მიღებულია, მიღებულია ერთხმად!

ჩვენ მოგვცეს განაწესი — აღგვიქვამს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიისადმი, რომ საქართველოს მეჩაიეებს მხარს უსწორებს რესპუბლიკის ყველა მშრომელი, რომ ისინი შეუპოვარი, თავდადებული შრომით გაუთქვამენ სახელს ჩვენს დიად სოციალისტურ სახელმწიფოს.

ეს განაწესიც შეგისრულეთ!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიას მოვახსენეთ, რომ პარტიისა და ხალხის ცხოვრების ისტორიული მოვლენა — სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღება —საქართველომ ახალი სასახელო შრომითი გამარჯვებებით აღნიშნა.

ჩვენ ვუპატაკებთ სამშობლოს მიღწეულ წარმატებებს და ამავე დროს მოვუწოდებთ ჩვენს გმირ მუშაკთა კლასს — გამოუშვას დიდი ოქტომბრის იუბილესათვის სულ ცოტა 160 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, უზრუნველყოს წლის დამლევამდე 530-დღე დასახლების სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი ნაწარმის გამოშვება. ხუთწლედის მიმდინარე და მესამე, გადამწყვეტ წელს უზრუნველყოს ფაქტიური ტემპი სამრეწველო წარმოების ზრდისა სულ ცოტა 107,1 პროცენტის ოდენობით, რათა ამ საფუძველზე მთლიანი პროდუქციის გამოშვებამ 1977 წელს შეადგინოს 7,14 მილიარდი და 1978 წელს — 7,66 მილიარდი მანეთი.

აღვნიშნავთ რა მიღწეულ წარმატებებს, ჩვენი მშენებლების მრავალათასიან არმიას მიზნად ეკისახავთ უთუოდ შეასრულოს საიუბილეო ვალდებულებანი. უნდა გამოვიყენოთ შეძენილი გამოცდილება და ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს დაამთავროთ სამუშაოები და აგამოქმედოთ ენერგიის ჰიდროელექტროსადგურის პირველი რიგი, ვარკიხის ჰიდროელექტროსადგურის ასკადის მეორე რიგი, ანალი საწარმოო სიმძლავრეები რუსთავში, ქუთაისში, ზესტაფონში, სოხუმში, ბათუმში, მივაღწიოთ საბინაო მშენებლობის გეგმების ტაბალურ შესრულებას, საექსპლოატაციოდ გადავიყვანოთ მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი და ამასთან მკვეთრად გავაუმჯობესოთ ხალისობრივი მაჩვენებლები.

ახალი წარმატებებით გავავსარეს საიუბილეო წელს ესპობლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. **საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ინსტრუქტორ საბჭო მოუწოდებენ ჩვენს ხასელოვან ოლმეურნე გლეხობას. საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს** ორგანიზაციულად და უდანაკარგოდ აიღონ შეიდგომაზე მოსული კულტურების მოსავალი, გაადიონ საიუბილეო წელს ბოსტნეულისა და ბოჩეულის ესყიდვა 320 ათას ტონამდე, კარტოფილისა — 140 ათას ტონამდე, ხილ-კენკრისა — 400 ათას ტონამდე, ყურძნისა — 450 ათას ტონამდე, ციტრუსებისა — 0 ათას ტონამდე, შაქრის ჭარხლისა — 130 ათას ტონამდე, ხორცისა — 140 ათას ტონამდე, რძისა — 0 ათას ტონამდე, კვერცხისა — 360 მილიონ ცალი. სოფლის მშრომელებმა მთელი გამოუყენებელი ზარჯები უნდა აამოქმედონ, რათა უზრუნველყონ 78 წელს სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ზეგეგმილი მატება 4,8 პროცენტით და ამასთან ვალდებულნონ მიმდინარე წლის დავალებათა შესრულება 0 მილიონი მანეთის ოდენობით.

ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენს შესანიშნავ სახალხო ინტელიგენციას, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს, ათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებს „ლაკ განამტკიცონ წარმოებასთან მეცნიერების კავშირი. ელი თვითანი მოღვაწეობით ხელი შეუწყონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემდგომ დაჩქარებას, ენიერული აღლვების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებას, მეცნიერთა ადრრების უკეთ მომზადებას; ყოველგვარად ამაღლონ სასწავლო-აღმზრდელობითი მოეობის, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხარისხი; აღნიშნონ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავი ტრიალებით, **რომლებიც ხელს შეუწყობს** საბჭოთა ადამიანის სულიერი სამყაროს გამდიდრებას.

ამ მაღალი ტრიბუნიდან ჩვენ მოვუწოდებთ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და სასაზღვრო ქვედების ხასელოვან მეომრებს კვლავაც სრულყონ ბრძოლა და პოლიტიკური მოამზადეთ, დღეენიდან ამონ და ეანამტკიცონ მეგობრობა რესპუბლიკის ომელებთან და მათთან ერთად თხზლად იდგნენ ნი სოციალისტური სამშობლოს სამხრეთი საზღვრის სადარაჯოზე.

ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ქალის თავდადებულმა შრომამ, ოჯახსა და ბავშვებზე დედობრივმა ზრუნვამ მას მთელი საზოგადოების უდიდესი მადლიერება და პატივისცემა მოუხვეჭა, და ეს ღირსეულად აისახა სსრ კავშირის კონსტიტუციაში.

ჩვენ მივმართავთ ყველა მშრომელ ქალს, ყველა დედას და გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ კვლავაც კომუნიზმის მშენებელთა მოწინავე რიგებში იქნებით, აქტიურ მონაწილეობას მიიღებთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აღზრდით თაობას, რომელმაც უნდა აშენოს და იცხოვროს კომუნიზმის დროს.

ჩვენ მოგმართავთ თქვენ, **ქალიშვილებო და ჭაბუკებო,** რომლებიც დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებთ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მზის ქვეშ. თქვენ განვითარებული სოციალიზმის ქვეყნის ახალი ძირითადი კანონის მიხედვით მოგელოთ შრომა, ცხოვრება, შემოქმედება. იცოდეთ და გახსოვდეთ, რომ უფროს თაობას უყვარხართ და სწამს თქვენი, რომ კომუნისტების, თქვენი დედებისა და მამების ყველაზე კეთილშობილური, ყველაზე მნიშვნელოვანი და პასუხსაგები ამოცანაა აღზარდონ ახალგაზრდა თაობა ჭეშმარიტად ლენინური სულისკვეთებით, კომუნიზმის იდეალების ერთგულების სულისკვეთებით.

მაშ მოდით, ღირსეულად განაგრძეთ ემამი საქმე, ინც უდიდესი სიძნელეები გადალახა და თქვენ მომწიფებული სოციალიზმის საზოგადოება აგიშენათ, წმიდად დაიცვეთ პარტიისა და ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციები. ამრავლეთ ისინი ახალი სასახელო საქმეებით, კომუნისტური მშენებლობის ახალი წარმატებებით, პირნათლად მოიხადეთ სსრ კავშირის ყოველი მოქალაქის წმიდათაწმიდა ვალი — სოციალისტური სამშობლოს დაცვის ვალი.

ჩვენ წინაშე ამხანაგებო, გრანდიოზული ამოცანები დგას. და ამ დიდ ამოცანებს მხოლოდ მაშინ გადაწყვეტთ, თუ დღენიადაგ, მტკიცედ სრულყოფთ მთელ ჩვენს ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას.

ამხანაგებო!

დღეს აქ, ამ დარბაზში მიმდინარეობს საქართველოს პარტიული აქტივის გაფართოებული კრება.

ამიტომ, როცა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანებზე ვლაპარაკობთ, ხაზასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველ პარტიულ კომიტეტს, ყოველ პირველადს პარტორგანიზაციას, ყოველ კომუნისტს უნდა აზსოვდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი და აქტიურად იბრძოდეს პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის.

პარტიულმა ორგანიზაციებმა თავიანთი მუშაობა უწინარეს ყოვლისა იმისათვის უნდა წარმართონ, რომ მშრომელებს, მთელ მოსახლეობას განუმარტონ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შინაარსი. უკლებლივ ყველას უნდა გავაცნოთ ღრმა აზრი, არსი, სულისკვეთება ამ დოკუმენტისა, რომელიც საბჭოთა ხალხის ცხოვრების ყველა დარგში მომხდარ პრინციპულ ცვლილებებს ასახავს.

პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა ხელი შეუწყონ ყოველი მოქალაქის მაღალი პოლიტიკური კულტურის გამომუშავებას.

კონსტიტუციის პროექტის განხილვა ბევრად გასცდა თვით მისი ტექსტის ანალიზის ფარგლებს. განხილვის დროს შემოვიდა ბევრი საყურადღებო, საქმიანი წინადადება, რომელთა მიზანია სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის წინ გამართულმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელმაც მთლიანად და სავსებით მოიწონა სესიაზე წასაკითხი მოხსენება, აგრეთვე ძირითადად მოიწონა კონსტიტუციის პროექტი. წინადადება მისცა პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, სამინისტროებსა და უწყებებს, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ყურადღებით შეისწავლონ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს შემოსული შრომელთა ყველა წინადადება და შინაშენა სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის კონკრეტულ უბნებზე მუშაობის გაუმჯობესების შესახებ და მიიღონ მათი პრაქტიკული რეალიზაციისათვის საჭირო ღონისძიებანი.

პარტიული აქტივის მუშაობაში დღეს მონაწილეობენ საბჭოთა ორგანოების წარმომადგენლები. ამიტომ, როცა საბჭოების ამოცანებზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ეს ფაქტიური ყოველია ნიშნავს, რომ საბჭოთა ორგანოებმა თავიანთი კომპეტენციის მთელი დიაპაზონით გამოიყენონ სსრ კავშირის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილება და ისე გადაწყვიტონ უმნიშვნელოვანესი სამეურნეო, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული საკითხები მშრომელი მასების ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით, კონტროლი გაუწიონ და შეათანხმონ საბჭოების ტერიტორიაზე განლაგებული ყველა დაწესებულებისა და ორგანიზაციის მუშაობა, განამტკიცონ კავშირი მშრომელ მასებთან.

კონსტიტუციის შესაბამისაო, ჩვენ კვლავაც უნდა სრულყოფთ საბჭოთა ორგანოების ორგანიზაცია და საქმიანობა. დიდი მუშაობა უნდა გავწიოთ იმასთან დაკავშირებით, რომ გიფართოვდა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უფლებამოსილება მათს ტერიტორიაზე კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფაში. ახლა, სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად, რომლებიც პასუხს აგებენ შესაბამისი დარგების მდგომარეობისათვის, დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დგება ამ ადგილობრივი ორგანოების წინაშე, რომლებიც უზრუნველყოფენ გარკვეული ტერიტორიაზე საწარმოთა და სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა მუშაობის კოორდინაციას და კოორდინაციას და განვითარების კომპლექსურობას მათი დაქვემდებარების მიუხედავად.

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად, საჭიროა კვლავაც გაძლერამათ საბჭოთა მართლმსაჯულების დემოკრატიული არსი, გაეაუმჯობესოთ სასამართლოს, პროკურატურის, არბიტრაჟის, სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობა, ყოველნაირად უზრუნველყოფთ სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცება, ხელი შეუწყოთ მოქალაქეობრივ უფლებათა, თავისუფლებათა და მოვალეობათა უფრო სრულ განხორციელებას. კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპის დაცვას.

კიდევ უფრო მეტად უნდა ვებრძოლოთ მუქთახორობას, შრომის დისციპლინის ბოროტ დარღვევებს, ხულიგნობასა და სხვა ანტისაზოგადოებრივ მოვლენებს, რომელნიც ეწინააღმდეგება ჩვენი სოციალისტური ცხოვრების წესის თვით არსს.

კიდევ უფრო შეურიგებელი უნდა ვიყოთ ისეთი აღმაშფოთებელი ფაქტების მიმართ, როგორიც არის ცალკეული თანამდებობის პირთა მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, სახელმწიფოს მოტყუება წამატებებისა და თვალის ახვევის ზნით, მექრთამეობა, მშრომელთა მოთხოვნილებებისადმი გულგრილი, ფორმალური მიდგომა, კრიტიკისათვის დევნა.

აქტივის დღევანდელ კრებას პირველადი პარტიული ორგანიზაციების სამი ათასამდე დელეგი ესწრება. ჩვენ სავანგებოდ ვიუსვამთ ხაზს ამ გარემოებას. რადგან ყველა კოლექტივში და ყველა მოქალაქის მიერ ახალი კონსტიტუციის პროპაგანდისა და მისი დაცვის ორგანიზაციული უზრუნველყოფის ამოცანები უწინარეს ყოვლისა ჩვენი პირველადი პარტორგანიზაციების წინაშე დგას.

ახლა, როგორც ცნობილია, საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები. საანგარიშო-საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულ ამოცანებზე ჩვენ საკმაოდ დაწერილებით ვილაპარაკეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ VII პლენუმზე.

პარტბიუროების მდგომარეობის ანგარიშებთან ერთად კრებები ისმენენ, როგორც ცენტრალური კომიტეტის ალენუმმა განსაზღვრა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენებას „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“.

როგორც პირველი საანგარიშო-საარჩევნო კრებები გვიჩვენებს, კომუნისტები სწორად იფასებენ ამ ფაქტის მნიშვნელობას, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების შესაბამისად, საჭიროდ მიაჩნია ანგარიში ჩააბაროს ძირეულ პარტიულ ორგანიზაციებს წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ. ცენტრალური კომიტეტის მოხსენება ეხმარება პარტორგანიზაციებს ობიექტურად შეაფასონ მიღწეული წარმატებები, განსაზღვრონ გადაუჭრელი პრობლემები, თავი მოუყარონ ძალებს უმთავრესი ძირითადი საკითხების გადასაჭრელად, დარაზმონ კომუნისტები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის შედეგებიდან გამომდინარე ამოცანების გადასაწყვეტად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება და გამოსვლები, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია და სესიის სხვა მასალები თითოეული პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის კონკრეტული პროგრამაა. ახლა ამოცანა ის არის, რომ ყველა რგოლში, თითოეულ უბანზე შეადგინონ პრაქტიკული გეგმა, რომელიც გაითვალისწინებს პლენუმისა და სესიის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ორგანიზაციულ და პოლიტიკურ ღონისძიებათა განხორციელებას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ იმ ღონისძიებათა განხორციელებას, რომ სულ უფრო ფართოდ ჩავაბათ მოქალაქენი სახელმწიფოსა და საზოგადოების საქმეთა მართვაში, სრულყოთ სახელმწიფო აპარატი და მისი საქმიანობა, ავამაღლოთ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა აქტიურობა, გავაძლიროთ სახალხო კონტროლი, განვამტკიცოთ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძველი. გავაფართოოთ საჯაროობა, დღენიადაგ გავითვალისწინოთ საზოგადოებრივი აზრი.

ჩვენ ყოველნაირად ვეცდებით სრულყოთ საბჭოებისა და რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო ორგანოების მუშაობის სტილი და მეთოდები ცენტრში და ადგილებზე, განვავითაროთ და გავაღრმოთ მათი საქმიანობის დემოკრატიული საწყისები, აღმოვფხვრათ ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის გამოვლინებანი.

უდიდესი მუშაობა უნდა გავწიოთ საქართველოს სსრ კონსტიტუციის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციათა პროექტების მომზადებისა და განხილვასთან, რესპუბლიკური კანონმდებლობის სრულყოფასთან დაკავშირებით.

პარტიული აქტივის მუშაობაში დღეს მონაწილეობენ საქართველოს კომკავშირის წარმომადგენლები. ამიტომ, თუ გავითვალისწინებთ პროფკავშირების დიდ როლს, რომელიც ახალმა კონსტიტუციამ განსაზღვრა, მშრომელთა ამ ყველაზე მასობრივი ორგანიზაციის როლს სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში, საქართველოს პროფესიულმა კავშირებმა, რომელებმაც ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გააქტიურეს მუშაობა, უფრო სრულად და ეფექტიანად უნდა გამოიყენონ მინიჭებული უფლებები და შესაძლებლობანი, რათა კიდევ უფრო აამაღლონ მშრომელთა კოლექტივების როლი წარმოების მართვაში, დაძაბული შემჩვეული გეგმების შემუშავებაში, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის სოციალისტური შეჯიბრების, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობის განვითარებაში, მოწინავე გამოცდილების გავრცელებაში.

პროფკავშირებმა უკეთ უნდა გამოიყენონ მათთვის დამახასიათებელი მასებთან მუშაობის ფორმები და მეთოდები, რათა უფრო სრულად განახორციელონ სსრ კავშირის კონსტიტუციით გათვალისწინებული მოქალაქეთა შრომითი უფლებანი და მოვალეობანი, კიდევ უფრო განამტკიცონ შრომისა და საწარმოო დისციპლინა, ეაძლიერონ ბრძოლა უყაირათობისა და მფლანგველობის, სამუშაო დროის დანაკარგების წინააღმდეგ.

პროფკავშირულ ორგანიზაციათა საქმიანობაში კვლავაც დიდმნიშვნელოვანი ადგილი უნდა ეკავოს ზრუნვას მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების როლის ამაღლებაზე, კოლექტიურ ხელშეკრულებათა უფუო შესრულებაზე, შრომელთა ფართო მასების შრომის, ყოფა-ცხოვრების, დასვენების, მომსახურების პირობების გაუმჯობესებაზე, დიდი სამამულო ომის ვეტერანთა ცხოვრების პირობების შემდგომ გაუმჯობესებაზე და დედებისათვის დამატებითი შეღავათების შექმნაზე.

პარტიული აქტივის მუშაობაში დღეს მონაწილეობენ საქართველოს კომკავშირის წარმომადგენლები. ამიტომ ხაზასმით უნდა აღინიშნოს, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციამ ალსახა კომკავშირის გაზრდილი როლი ჩვენს სოციალისტურ საზოგადოებაში. ამიტომ რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის ამოცანაა ყოველ ქალიშვილს, ყოველ ჭაბუკს გააცნოს სსრ კავშირის კონსტიტუციის შინაარსი, მისი ისტორიული მნიშვნელობა, უჩვენოს მისი ადგილი და როლი ახალგაზრდა ადამიანის ცხოვრებაში.

ახალი კონსტიტუცია ახალგაზრდობას განათლების მიღების, პროფესიის არჩევის, საქმიანობის არჩეულ დარგში დახელოვნების, მთელ საზოგადოებრივ და სახელმწიფო მუშაობაში აქტიური მონაწილეობის ფართო უფლებებსა და შესაძლებლობებს ანიჭებს. ამასთანავე კონსტიტუცია ახალგაზრდობას მაღალ მოქალაქეობრივ მოვალეობებს აკისრებს.

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ახალგაზრდობა უნდა აღზარდონ კომუნისტური იდეურობის, სოციალისტური სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ყოველნაირად შეუწყონ ხელი ახალგაზრდობისათვის მაღალი მოქალაქეობრივი თვისებების, მოქალაქეობრივი ღირსების გრძნობის ჩანერგვას, ყოველმხრივ მოამზადონ ახალგაზრდობა მეწარმეობლურ შრომაში აქტიური მონაწილეობისათვის, საზოგადოებრივი და სახელმწიფო საქმეთანმიმართვის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის.

მთელ კონსტიტუციას წითელ ზოლაო გასდევს პარტიული, სახელმწიფო ზრუნვა იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველას ჰქონდეს უფარფოსი, ყველაზე სრული შესაძლებლობანი, რათა საზოგადოების სახარგებლოდ იყენებდეს თავის შემოქმედებითს ძალებსა და ნიჭს. მასვე სწორედ ამ ზრუნვის რეალიზაცია გახლავთ მთელი ჩვენი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ამოცანა.

განიმარტოთ კონსტიტუცია, გავაცნოთ იგი თითოეულ მშრომელს — ეს იმას ნიშნავს, **რომ ვასწავლოთ ადამიანებს იცხოვრონ და იმუშაონ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიხედვით; ჩაუფერგოთ საბჭოთა მოქალაქის ოფლებამოვალეობათა ერთიანობის გრძნობა** — ეს ნიშნავს, **რომ მიზანსწრაფულად დადამკვიდროთ და სრულყოთ ჩვენი საბჭოთა სოციალისტური ცხოვრების წესი, ამისათვის წარმართოთ პარტიული და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა იდეურ-აღმზრდელობითი საქმიანობა.**

როცა ვიწყებთ ჭეშარმეტარი მასშტაბის ოა უდიდესი მნიშვნელობის მუშაობას ჩვენი ახალი კონსტიტუციის პროპაგანდისათვის, როცა ვსახავთ ხანგრძლივ ამოცანას — მივაღწიოთ, რომ ყოველი საბჭოთა ადამიანი განუხრელად ასრულებდეს ქვეყნის ძირითად კანონს, რომელიც განსაზღვრავს საბჭოთა კავშირის მშრომელთა მოქალაქეობრივ უფლებებსა და მოვალეობებს, უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენ, არსებითაო, კვლავაც უნდა გავაფართოოთ და გავაღრმოთ სოციალისტური ცხოვრების წესის ბაზა, ვამრავლოთ კომუნისტური ტიპის პიროვნების ჩამოყალიბებაზე ჩვენი ცხოვრების წესის ზემოქმედების ძალა, განვამტკიცოთ განვითარებული სოციალიზმის საზოგადოებაში იდეურ-აღმზრდელობითი მოშაობისა და ადამიანთა ცხოვრება-საქმიანობის წესის შეცვლის ერთიანურ-კავშირი.

ამრიგად, ჩვენი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა ისე უნდა წარმართოთ, რომ ყოველ ადამიანს საფუძვლიანად გავაგებინოთ სოციალისტური ცხოვრების წესის ნორმებისა და ღირებულებითი დებულებების მიხედვით ცხოვრების ობიექტური აუცილებლობა და შინაგან მოთხოვნილებად გავუხადოთ ეს.

ამით მივაღწევთ დიალექტიკურ უკეკავშირს: ვიბრძოლებთ რა ცალკე აღებული თითოეული მუხლისა და საერთოდ მთელი ძირითადი კანონის ზუსტი და განსხვავებული შესრულებისათვის, ჩვენ შეეფუყობთ სოციალისტური ცხოვრების წესის — საბჭოთა ადამიანების ცხოვრება-საქმიანობის ფორმების განვლილი ექვსი ათწლეულის მანძილზე ისტორიულად ჩამოყალიბებული სისტემის კიდევ უფრო დამკვიდრებასა და სრულყოფას, ამით განვამტკიცებთ ხალხთა მეგობრობასა და ძმობას, მათს თავისუფლებასა და თანასწორობას, საბჭოთა ადამიანის შრომის, განათლებისა და დასვენების, მატერიალურად უზრუნველყოფილი ცხოვრების უფლებას, **სოციალური** და პოლიტიკური აქტიურობას, როცა უზენაეს მიზნად გამოცხადებულია კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა.

ამხანაგებო!

როგორც კარგად მოგეხსენებათ, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღების ამბავი მთელ მსოფლიოს მოედო. მთელ მსოფლიოში ფართოდ გამოეხმაურნენ კონსტიტუციის პროექტში სსრ კავშირის ლენინური საგარეო პოლიტიკის მიზნებისა და პრინციპების შესახებ სპეციალური თავის შეტანას და უმაღლესი საბჭოს სესიაზე მიღებულ დამტკიცას, რომ საბჭოთა კავშირი ესწრაფვის საყოველთაო და სრული განიარაღების მიღწევას.

ამრიგად, დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ განვითარებული, მომწიფებული სოციალიზმის საზოგადოების ძირითადი კანონის მიღება ჭეშმარიტად მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა, რომელმაც ღირსსახსოვარი ფურცელი გადაშალა კაცობრიობის ცხოვრებაში, რადგან თვით ეს საზოგადოება საზოგადოებრივი პროგრესის უმაღლესი მიღწევაა.

ეს ასეა, რადგან განვითარებული სოციალიზმის საზოგადოება მთლიანად და სავსებით ეფუძნება მშვიდობას, სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას. სწორედ ამიტომ არის, რომ ამ საზოგადოების კონსტიტუციაც, ყოველი მისი კარი, ყოველი თავი, ყოველი მუხლი, მთელი მისი შინაარსი გამსჭვალულია ლენინური სამშვიდობო პოლიტიკის სულისკვეთებით, მთელი პლანეტის პატიოსან მშრომელთა ყველაზე ამაღლებული ოდალთი.

სწორედ ამიტომ ჩვენი ახალი კონსტიტუცია იმ დიდებული გზის ლოგიკური დაგვირგვინებაა, რომელიც 60 წლის წინათ ცნობილი ლენინური „ზავის დეკრეტით“ დაიწყო.

სწორედ ამიტომ ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, სამართლიანად ვამაყობთ იმ რეზონანსით, რომელიც თან სდევდა ჩვენს ახალ კონსტიტუციას პროექტის გამოქვეყნების დღიდან მისი დამტკიცების დღემდე ყველა ქვეყანაში, დედამიწის ყველა კონტინენტზე.

საბჭოთა ხალხს ახალი კონსტიტუციის მიღებას მხურვალედ ულოცავენ სოციალისტური თანამეგობრობის მოძძე ქვეყნების მშრომელები.

ჩვენი მოშურნენიც კი — კაპიტალისტურ სახელმწიფოთა პოლიტიკოსები და ფილოსოფოსები, როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, იძულებული არიან აღიარონ, რომ კონსტიტუციის პროექტის მთელმა ხალხმა დაუჭირა მხარი და მოიწონა მისი განხილვის პერიოდში და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე.

დღეს ჩვენთვის სრულიად ცხადია, რომ თავიანთ ძირითად იერიშს, თავიანთ ძირითად დარტყმას იმპერიალისტური პრობაგანდა, ჩვენი კონსტიტუციის ბურჟუაზიული კრიტიკოსები იქით მიმართავენ, რომ ქვეყნის ცხოვრების ისეთ დიდ და მნიშვნელოვან მოვლენას, როგორიც არის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა და მისი მიღება, სხვადასხვა დაჯუფების საპროტესტო დემონსტრაციები რატომ არ ახლდაო; რომ ამ განხილვის დროს არ გამოთქმულა რაიმე წინადადება, რომელიც შეეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის პროექტის თვით არსს, რაც ეს-ოდენ დამახასიათებელია ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის, რომელიც დაყოფილია ანტაგონისტურ, მოწინააღმდეგ კლასებად.

მათთვის ძნელი გასაგებია, რომ ჩვენში ასეთი პროცესები არ შეიძლება ახლდეს ძირითადი კანონის მიღებას, რომ ის ერთსულოვნება, **რომლითაც ჩვენში** მიღებულია ახალი კონსტიტუცია, სწორედ რომ მკაფიოდ ადასტურებს საბჭოთა ხალხების წინსულას ჩვენი საზოგადოების სოციალური ერთგვაროვნებისაკენ, საზოგადოებისა, **რომლის** საფუძველია ჩვენი პოლიტი

შრომა, ცხოვრება, შემოქმედება — ახალი კონსტიტუციის მიხედვით

ამხ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენების გამო დაიწყო კამათი.

ტრიბუნაზეა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. ნ. ვ. გურგენიძე, მან რესპუბლიკის დედაქალაქის კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით გულწრფელი მადლობა მოახსენა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს მრავალმხრივი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, რომლის მეოხებითაც შესაძლებელი გახდა შექმნილიყო სსრ კავშირის კონსტიტუცია — განვითარებული სოციალისტური საზოგადოების დიადი ქარტია, რომელიც საბჭოთა მრავალი მილიონი შრომელის ერთიანი ნების განსახიერება და ყველაზე სანუკვარი მისწრაფებების გამოხატულებაა.

აღ რატომ არის, რომ ჩვენი უკიდეგანო ქვეყნის ყოველ მშრომელს, თითოეულ მოქალაქეს შეუძლია ამაყად განაცხადოს: ეს ჩვენი კონსტიტუციაა, ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონია, ჩვენი ნებისა და მთელი ხალხის ნების გამოხატულებაა.

საქართველოს დედაქალაქის მშრომელები, თქვა ორატორმა, სიტყვას აძლევენ რესპუბლიკის პარტიული აქტივის გაფართოებული კრების მონაწილეებს, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახალ შრომითს გამარჯვებებს მოიპოვებენ და თავიანთ წვლილს შეტანენ სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ვ. რ. პაპუნიძეს. სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში, თქვა მან, ყველაზე სრულად არის ასახული დიდი ოქტომბრის იდეები, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის ვ. ი. ლენინის უკვდავი ანდერძი. კონსტიტუციის ძირითადი შინაარსი, სულისკვეთება და დედააზრია საბჭოთა საზოგადოების ფართო და ღრმა დემოკრატიზმი, რომელიც ასე მკაფიოდ გამოვლინდა კონსტიტუციის შემუშავების, მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის და მოწონებისას.

აჭარის მშრომელები თავდადებით იბრძვიან სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების ვადამდე შესრულებისათვის. მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე, 24 სექტემბრისათვის განაღდეს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ცხრა თვის გეგმა, მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის მშრომელებიც, კერძოდ, ქართველ მეჩაიეთა შესანიშნავ გამარჯვებებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აჭარელმა მეჩაიეებმა, რომლებმაც წელს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის რეკორდული მოსავალი მოიწიეს. პაპუხსაგები ამოცანა დგას ავტონომიური რესპუბლიკის მეცატრუსეთა წინაშეც, რომლებმაც ერთხელ კიდევ აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და ვალდებულება იკისრეს სამშობლოს მისცენ სულ ცოტა ასი ათასი ტონა ციტრუსი. ორატორმა აქტივის კრების მონაწილეებს აღუთქვა, რომ აჭარის სსრ რესპუბლიკის შრომელები და ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები კიდევ უფრო ფართოდ გაიაღებენ საყოველთაო-სახალხო საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებას ღირსშესანიშნავი თარიღის, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად.

— მე წლად მხვდა უდიდესი ბედნიერება — მონაწილეობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობაში, რომელმაც მიიღო ქვეყნის ახალი კონსტიტუცია, მისი ძირითადი კანონი, რომლის მიხედვითაც ჩვენი თაობა და საბჭოთა ადამიანების მომავალი თაობები აშენებენ და ააშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას, თქვა კრებაზე გამოსულისას ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორთა მერგოლურმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ამხ. ვ. გ. მეულარგიამ. განა შეიძლება დავავიწყდეს ჩვენი სოციალისტური სამშობლოსათვის, იმ დიადი სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნებისათვის დიდი სიამაყის ატმოსფერო, რომლებიც საბჭოთა ხალხმა განახორციელა 60 გმირული წლის მანძილზე? განა შეიძლება დავიწყოთ მონოლითური შეკავშირების, საკუთარი ძალების რწმენის ვითარება, რომელშიც მიმდინარეობდა სესიის მუშაობა, დავავიწყდეს გამოხატულება უდიდესი სიყვარულის და უსაზღვრო მადლიერებისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისადმი, პოლიტბიუროსა და პირადად ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისადმი, რაც მთელი საბჭოთა ხალხის სახელით ცხადყვეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა.

ყოველი ჩვენგანი, რესპუბლიკის ყველა თაობის მშრომელები აღაფრთოვანა იმ მაღალმა შეფასებამ, რომელიც ქართველ მეჩაიეთა გარჯას მისცა თავის მასალებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

გამოდის სოხუმის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ზ. ვ. ანნაბაძე. ჩვენს ახალ კონსტიტუციაში, თქვა მან, შენარჩუნებულია წინანდელი საბჭოთა კონსტიტუციების იდეებისა და პრინციპების მემკვიდრეობითობა. კერძოდ, ერთერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომელიც წითელ ზოლად გასდევს ყველა საბჭოთა კონსტიტუციას, არის ლენინური ფუძემდებელი იდეა საბჭოთა სახელმწიფოში ხალხთა ნებაყოფლობითი გაერთიანებისა და მათი სრული თანასწორუფლებიანობის შესახებ.

საბჭოთა კავშირის 114 ერსა და ეროვნებას შორის თანასწორუფლებიანი იდგილი უკავია პატარა აფხაზ ხალხსაც, რომელიც მომე ქართველ ხალხთან ერთად ნებაყოფლობით შევიდა 1921 წელს საბჭოეთის მოძმე ხალხთა ერთიან თანამეგობრობაში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში პატარა აფხაზეთი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ძირფესვიანად შეიცვალა. მეფის რუსეთის ყოფილი კოლონიური განაპირა მხარე სოციალისტური მშენებლობის წლებში მაღალგანვითარებული მრავალდარგოვანი ეკონომიკის მქონე რესპუბლიკად გადაიქცა. ჭეშმარიტად დიადი კულტურული მიღწევები მოიპოვა აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წლებში სრული წიგნიერების რესპუბლიკად იქცა.

სიტყვა ეძლევა თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ხარატს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ამხ. დ. ნ. ბოსელაძეს. მე, მუშაკს, თქვა ორატორმა, ღრმად ჩამწვდა გულში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ის სიტყვები, რომ საბჭოთა ადამიანის უფლებათა მთავარი გარანტია საბოლოო ანგარიშით, სამშობლოს ძლიერება და აყვავებაა. სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში ძალზე სწორად არის ხაზგასმული საბჭოეთის მოქალაქის მოვალეობა — პატიოსნად და კეთილსინდისიერად შრომის მოვალეობა. ეს კარგად აქვს შეგნებული ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანების მრავალრიცხოვან კოლექტივსაც. ჩვენ, ჩარხმშენებლებს, ნათლად გვესმის, რომ მხოლოდ თავდადებული და შეუპოვარი შრომით იქმნება მთელი მატერიალური და სულიერი დოვლათი და ამიტომაც ვისწრაფვით ვიმუშაოთ შემოქმედებითად, ძალ-ღონისა და ენერგიის დაუზოგავად. ვამრავლოთ ჩვენი რაიონის, უკვდავი ლენინის სახელობის რაიონის შესანიშნავი რევოლუციური და შრომითი ტრადიციები.

ახალი კონსტიტუციის ყოველი სტრიქონი აცოცხლებს ჩვენ თვალწინ საბჭოთა ხალხისა და მისი ავანგარდის, კომუნისტური პარტიის ბრძოლისა და გამარჯვებების სახელოვან ისტორიას, თქვა თავის გამოსვლაში საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ნ. შენგელაიამ. ახალი კონსტიტუცია გვეუბნება სარკედ, რომელიც ასახავს განვლილ 60 წელს არა როგორც დროის საზომს, არამედ როგორც საბჭოთა ხალხის უაღრესად რთულ გზას. დიად გზას კომუნიზმისაკენ. ახალი კონსტიტუცია საბჭოთა ხალხს განუმტკიცებს კაცობრიობის ნათელ მომავლის რწმენას. ახალი კონსტიტუციის ლენინური სულისკვეთება მოწმობს იმ ღრმა მრავალმხრივ, უაღრესად ნაყოფიერ და დიდ მუშაობას, რომელიც საკონსტიტუციო კომისიამ გასწია თავისი თავმჯდომარის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

საბჭოთა სახელმწიფოს ახალი კონსტიტუცია გვავალებს მუდამ გვახსოვდეს, რომ საბჭოთა ხელოვნება უპირველეს ყოვლისა მაღალი აზრისა და გრძნობის ხელოვნებაა, რომელიც გამოხატავს ხალხის სულს, მის სიყვარულსა და ერთგულებას სამშობლოსადმი.

ტრიბუნაზეა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი ამხ. ა. მ. ოვერჩუკი. ჩვენი დიდი სამშობლოსათვის პატრიოტული სიამაყის გრძნობით აღიქვეს ოლქის ჯარისკაცებმა, სერჟანტებმა, პრაპორშჩიკებმა და ოფიცრებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების შესახებ“ და სესიის სხვა მასალები.

ოთხ თვეს გრძელდებოდა თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის—პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა. განხილვაში ოლქის უკლებლივ ყველა მეომარი მონაწილეობდა. ამიერკავკასიელმა მეომრებმა მხურვალედ და ერთსულოვნად მოიწონეს კონსტიტუციის პროექტი და ორასზე მეტი წინადადება გაუგზავნეს საკონსტიტუციო კომისიას.

სიტყვა ეძლევა ცხინვალის მე-5 საშუალო სკოლის მასწავლებელს, პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს ამხ. კ. გ. მედოევას. საბჭოთა პედაგოგები, სახალხო განათლების მუშაკები, თქვა ორატორმა, მთელ ხალხთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში კომუნიზმის აშენებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში წინათ ჩამორჩენილ სამხრეთ ოსეთში ძირეული გადატრიალება მოხდა სახალხო განათლების სისტემაში. ახლა ოლქში არის 175 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, სამი საშუალო სპეციალური სასწავლებელი და პედაგოგიური ინსტიტუტი, სადაც 25 ათასზე მეტი კაცი სწავლობს. ოლქის განათლების მუშაკთა აზრით, მთავარია განუვითარონ ახალგაზრდობას ხასიათის ლენინური თვისებები, ნაკლოვანებებისადმი ლენინური შეურიგებლობა, შრომისა და სწავლისადმი ლენინური დამოკიდებულება.

ნება მიბოძეთ, თქვა პოეტმა, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორმა ამხ. ჯ. ა. ჩარკვიანმა, ქართველი პოეტების აღფრთოვანებული და სიხარულით აღსავსე ხმა შევუერთო ახალი კონსტიტუციის, ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონის მიღების გამო საყოველთაო ზეიმს.

40 წლის წინათ საბჭოთა ხალხმა ასევე აღნიშნა სასიხარულო მოვლენა — ახალი კონსტიტუციის მიღება. 40 წელი ისტორიისათვის დროის მცირე მონაკვეთია. ამავე დროს რა უზარმაზარი ცვლილებანი მოხდა ამ წლების მანძილზე! რა არნახულ მწვერვალებს მიაღწია საბჭოთა ხალხმა ცხოვრების ყველა სფეროში, როგორ გაიზარდა ჩვენი ქვეყნის ძლიერება, მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ავტორიტეტი!

დღეს ჩვენ ვადიდებთ ჩვენი განახლებული სამშობლოს — მსოფლიოს ყველაზე მძლავრი სახელმწიფოს ახალ კანონს.

რა ბუნებრივი, რაოდენ ნათელი და გულში ჩამწვდომია ამ კანონის თითოეული სტრიქონი!

„საბჭოთა კავშირში მთელი ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს!“.

რამდენი სიხლე დაიღვარა იმისათვის, რომ ეს უბრალო სიტყვები სახელმწიფოს კანონად ქცეულიყო. დიადი ძვრები, დიდი მიღწევები აისახა ჩვენს ახალ კონსტიტუციაში, რომელიც ბედნიერი მომავლის გარანტიას აძლევს ხალხს.

შემდეგ კრებამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია განხილულ საკითხზე.

დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ წინადადებას, რომ კრების მონაწილეთა სახელით წერილი გაუგზავნონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს.

წერილის ტექსტის წასაკითხად სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველ მდივანს ამხ. ა. ვ. კობაძეს.

კრების მონაწილეებმა მჭუხარე ტაშით ერთსულოვნად მოიწონეს წერილი. დიდხანს გაგრძელდა ოვაცია კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის — ჩვენი პარტიისა და ხალხის აღიარებული ხელმძღვანელის, ლენინის საქმის გაწმაგრძობის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის პატივსაცემად.

წერილი ერთხმად მიიღეს.

რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებამ ცხადყო საქართველოს კომუნისტთა ურყევი შეკავშირება სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ცხადყო, რომ ისინი მხურვალედ იწონებენ პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მტკიცედ ისწრაფვიან იცხოვრონ, იმუშაონ და იღვაწონ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუციის მიხედვით. (საქინფორმი).

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მიღების აღსანიშნავად თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა დაადგინა, რომ თბილისის სპორტის სასახლის წინა მოედანს ეწოდოს „სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის მოედანი“.

(„ვაჟეფხტრემ“).

თბილისი. 1977 წლის 12 ოქტომბერი. სურათზე: მიტინგი სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის მოედანზე.

გლ. გინზბურგის ფოტო.

მიტინგი სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის მოედანზე

20 ათასზე მეტი კაცი შეიკრიბა მოედანზე თბილისის სპორტის სასახლესთან, სადაც სულ ცოტა ხნის წინ დამთავრდა რესპუბლიკის პარტიული აქტივის გაფართოებული კრება. მოედანზე გაიმართა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ამ მოედნისათვის სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელის მინიჭებას. შეკრებილთა შორის იგრძნობა საზეიმო, ამაღლებული განწყობილება, ის მაღალი სულიერი განწყობილება, რომლითაც საბჭოთა ადამიანები სსრ კავშირის ახალი ძირითადი კანონის მიღებას შეხვდნენ და რომელიც მიტინგს დიდი სახალხო ზეიმის ხასიათს ანიჭებს.

მოედანი მორთულია ტრანსპარანტებით, პლაკატებით, ლოზუნგებით, რომლებიც ადიდებენ სამშობლოს, კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციას. ათასობით შეკრებილი გამოხატავს გულითად მადლობას სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის. მიმართ, რომლებმაც უდიდესი შრომა გასწიეს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის შესამუშავებლად, დაუცხრომლად ზრუნავენ შრომელთა კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის.

ტრიბუნაზე არიან ამხანაგები პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, პ. ვ. მელნიკოვი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა, პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ე. შევარდნაძე, თ. ი, მოსაშვილი, ქ. ჭ. შარტავა, ო. ჩერქეზია, ს. ხაბეიშვილი.

კონცერტი დაიწყო ა. ხოლმინოვის სიმღერით ლენინზე. ერთ ანსამბლად გაერთიანებულმა რესპუბლიკის საუკეთესო პროფესიულმა და თვითმოქმედმა მუსიკალურმა და ქორეოგრაფიულმა კოლექტივებმა განსაკუთრებული აღმავლობით შეასრულეს სიმღერა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადზე, ადამიანზე, რომლის გენია აცისკროვნებს და მარად გაანათლებს ჩვენს საბჭოთა ადამიანების სახელოვან საქმეებს.

გაისმის გალაკტიონის ლექსის გულშიჩამწვდომი სიტყვები...

ეკრანზე კი ამაყად ფრიალებს საბჭოეთის ალისფერი დროშები, მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების ალმები. გაერთიანებული გუნდი ასრულებს სიმღერას „ვრცელია ჩემი სამშობლო“.

ეკრანზე გაჩენილა ახალი ქარხნები, საცხოვრებელი მასივები, მთელი ქალაქები. ისინი საბჭოთა ადამიანების გარჯით შეიქმნა. და, თითქოს იმ დიად გარანტიებს უმღერისო, რომლებსაც საბჭოთა ადამიანებს ანიჭებს ახალი კონსტიტუცია, გაისმის ხალისიანი „ფერხულის“ — შრომის ცეკვის მელოდია. ცეკვას ჩვეული ოსტატობით ასრულებენ საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის მოცეკვაეები სსრ კავშირის სახალხო არტისტების, სსრ კავშირის სახელმწიფო და რუსთაველის სახელობის პრემიების ლაურეატების ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით.

გაისმის სიტყვები კონსტიტუციიდან: საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაშია აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი...

აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის საუკეთესო ქორეოგრაფიული ანსამბლები ერთმანეთს ეჯიბრებიან ეროვნული ცეკვების შესრულებაში.

ტრიბუნაზეა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი ამხ. ა. მ. ოვერჩუკი. ჩვენი დიდი სამშობლოსათვის პატრიოტული სიამაყის გრძნობით აღიქვეს ოლქის ჯარისკაცებმა, სერჟანტებმა, პრაპორშჩიკებმა და ოფიცრებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების შესახებ“ და სესიის სხვა მასალები.

ოთხ თვეს გრძელდებოდა თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის—პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა. განხილვაში ოლქის უკლებლივ ყველა მეომარი მონაწილეობდა. ამიერკავკასიელმა მეომრებმა მხურვალედ და ერთსულოვნად მოიწონეს კონსტიტუციის პროექტი და ორასზე მეტი წინადადება გაუგზავნეს საკონსტიტუციო კომისიას.

სიტყვა ეძლევა ცხინვალის მე-5 საშუალო სკოლის მასწავლებელს, პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს ამხ. კ. გ. მედოევას. საბჭოთა პედაგოგები, სახალხო განათლების მუშაკები, თქვა ორატორმა, მთელ ხალხთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში კომუნიზმის აშენებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში წინათ ჩამორჩენილ სამხრეთ ოსეთში ძირეული გადატრიალება მოხდა სახალხო განათლების სისტემაში. ახლა ოლქში არის 175 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, სამი საშუალო სპეციალური სასწავლებელი და პედაგოგიური ინსტიტუტი, სადაც 25 ათასზე მეტი კაცი სწავლობს. ოლქის განათლების მუშაკთა აზრით, მთავარია განუვითარონ ახალგაზრდობას ხასიათის ლენინური თვისებები, ნაკლოვანებებისადმი ლენინური შეურიგებლობა, შრომისა და სწავლისადმი ლენინური დამოკიდებულება.

ნება მიბოძეთ, თქვა პოეტმა, ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორმა ამხ. ჯ. ა. ჩარკვიანმა, ქართველი პოეტების აღფრთოვანებული და სიხარულით აღსავსე ხმა შევუერთო ახალი კონსტიტუციის, ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონის მიღების გამო საყოველთაო ზეიმს.

40 წლის წინათ საბჭოთა ხალხმა ასევე აღნიშნა სასიხარულო მოვლენა — ახალი კონსტიტუციის მიღება. 40 წელი ისტორიისათვის დროის მცირე მონაკვეთია. ამავე დროს რა უზარმაზარი ცვლილებანი მოხდა ამ წლების მანძილზე! რა არნახულ მწვერვალებს მიაღწია საბჭოთა ხალხმა ცხოვრების ყველა სფეროში, როგორ გაიზარდა ჩვენი ქვეყნის ძლიერება, მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ავტორიტეტი!

დღეს ჩვენ ვადიდებთ ჩვენი განახლებული სამშობლოს — მსოფლიოს ყველაზე მძლავრი სახელმწიფოს ახალ კანონს.

რა ბუნებრივი, რაოდენ ნათელი და გულში ჩამწვდომია ამ კანონის თითოეული სტრიქონი!

„საბჭოთა კავშირში მთელი ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს!“.

რამდენი სისხლი დაიღვარა იმისათვის, რომ ეს უბრალო სიტყვები სახელმწიფოს კანონად ქცეულიყო. დიადი ძვრები, დიდი მიღწევები აისახა ჩვენს ახალ კონსტიტუციაში, რომელიც ბედნიერი მომავლის გარანტიას აძლევს ხალხს.

შემდეგ კრებამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია განხილულ საკითხზე.

დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ წინადადებას, რომ კრების მონაწილეთა სახელით წერილი გაუგზავნონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს.

წერილის ტექსტის წასაკითხად სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველ მდივანს ამხ. ა. ვ. კობაძეს.

კრების მონაწილეებმა მჭუხარე ტაშით ერთსულოვნად მოიწონეს წერილი. დიდხანს გაგრძელდა ოვაცია კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის — ჩვენი პარტიისა და ხალხის აღიარებული ხელმძღვანელის, ლენინის საქმის გაწმაგრძობის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის პატივსაცემად.

წერილი ერთხმად მიიღეს.

რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებამ ცხადყო საქართველოს კომუნისტთა ურყევი შეკავშირება სკკპ ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ცხადყო, რომ ისინი მხურვალედ იწონებენ პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მტკიცედ ისწრაფვიან იცხოვრონ, იმუშაონ და იღვაწონ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუციის მიხედვით. (საქინფორმი).

ოქტომბრის მზით გამთბარი

სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებისადმი მიძღვნილი რესპუბლიკის პარტიული აქტივის გაფართოებული კრების მონაწილეთა სადღესასწაულო განწყობილების გამოხატულება გახდა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ხელოვნების ოსტატები და დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავი მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების საკავშირო ფესტივალის გამარჯვებულნი.

კონცერტს დაესწრნენ ამხანაგები პ. გილაშვილი, ა. ინაური, პ. მელნიკოვი, თ. მენთეშაშვილი, ზ. პატარიძე, ჯ. პატიაშვილი, ე. შევარდნაძე, ზ. ჩხეიძე, თ. მოსაშვილი, ქ. შარტავა, ო. ჩერქეზია, ს. ხაბეიშვილი.

კონცერტი დაიწყო ა. ხოლმინოვის სიმღერით ლენინზე. ერთ ანსამბლად გაერთიანებულმა რესპუბლიკის საუკეთესო პროფესიულმა და თვითმოქმედმა მუსიკალურმა და ქორეოგრაფიულმა კოლექტივებმა განსაკუთრებული აღმავლობით შეასრულეს სიმღერა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადზე, ადამიანზე, რომლის გენია აცისკროვნებს და მარად გაანათლებს ჩვენს საბჭოთა ადამიანების სახელოვან საქმეებს.

გაისმის გალაკტიონის ლექსის გულშიჩამწვდომი სიტყვები...

ეკრანზე კი ამაყად ფრიალებს საბჭოეთის ალისფერი დროშები, მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებისა და ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ალმები. ეკრანზე გაჩენილა ახალი ქარხნები, საცხოვრებელი მასივები, მთელი ქალაქები. ისინი საბჭოთა ადამიანების გარჯით შეიქმნა. და, თითქოს იმ დიად გარანტიებს უმღერისო, რომლებსაც საბჭოთა ადამიანებს ანიჭებს ახალი კონსტიტუცია, გაისმის ხალისიანი „ფერხულის“ — შრომის ცეკვის მელოდია. ცეკვას ჩვეული ოსტატობით ასრულებენ საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის მოცეკვაეები სსრ კავშირის სახალხო არტისტების, სსრ კავშირის სახელმწიფო და რუსთაველის სახელობის პრემიების ლაურეატების ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით.

ეკრანზე გამოჩნდა კინოკადრები, რომლებიც ასახავს აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა სახელოვან საქმეებს, დიდ წვლილს, მათ რომ შეიტანეს ჩვენი რესპუბლიკის, მთელი ქვეყნის საერთო წარმატებებში.

ახალგაზრდობა ჩვენი მომავალია. საბჭოთა კონსტიტუციამ მას ფართოდ გაუხსნა გზა და დიდი უფლებანი და უფლებამოსილებანი მიანიჭა.

დარბაზში შემოდიან რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სტუდენტები.

სტუდენტებს დარბაზში სპორტსმენები ცვლიან. რ. ლაღიძის „საჭიდაოს“ ხმაზე ნაირფერად კოსტიუმებში გამოწყობილი მოხდენილი ქალიშვილები და ჭაბუკები შეკრებილთ უჩვენებენ სპორტულ ოსტატობას.

რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა ტ. საყვარელიძემ, გ. საღარაძემ, დამსახურებულმა არტისტებმა ი. უჩანეიშვილმა, ბ. კაზინეცმა, გ. ხარაბაძემ, მსახიობმა ზ. ბაწელაშვილმა შთაგონებით წაიკითხეს საბჭოთა პოეტების ლექსები პარტიაზე, ახალ კონსტიტუციაზე, ხალხთა მეგობრობასა და ძმობაზე.

აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი ხალხების საუკუნო მეგობრობას ადიდებს ლექსები, ს

ჰექტარზე 600 ცენტნერი

◆ კარტოფილის არნახული მოსავალი ◆ კაცდლეზე — 13 მანეთი და 60 კაპიკი

გამრჯე და შრომისმოყვარე ხალხი ცხოვრობს ახალქალაქის სოფელ ბურნაშეთში. აქ მემინდვრეობიდან ძირითადი მეკარტოფილეობის მისდევენ და შეიძლება ითქვას, რომ ბურნაშეთელები კარტოფილის უხვი მოსავლის ნამდვილი ოსტატები არიან. ყოველწლიურად ზრდიან კარტოფილის ნთეს ფართობს და მის მოსავლიანობას. ყველაზე დიდი მოსავალი — ჰექტარზე 317 ცენტნერი — 1969 წელს მიიღეს. მაშინ კოლმეურნეობას მხოლოდ 30 ჰექტარზე ეთესა კარტოფილი. წლევანდელ საიუბილეო წელს კი 75 ჰექტარზე დათესეს და სანიმუშოდ მოუარეს, რათა ხელხვავიანი შეხვედროდნენ ოქტომბრის იუბილეს.

და აი დადგა მოსავლის აღების დროც. ბურნაშეთელები, ყველანი როგორც ერთი, გავიდნენ კარტოფილის ნაკვეთებში. პირველმა ჰექტარებმა ყოველ მოლოდინს დააჭარბა. ჰექტარზე საშუალოდ 350 ცენტნერამდე მოსავალი გამოდიოდა. განსაკუთრებით უხვ მოსავალს იღებს ბრიგადა, რომელსაც ვ. კურღენიანი ხელმძღვანელობს. ეს ბრიგადა ჰექტარზე საშუალოდ 600 ცენტნერამდე მოსავალს იღებს. ზოგიერთი ტუბერი კილოგრამზე მეტს იწონის.

— ასეთი რამ ჩვენ ჯერ არ გვინახავს, — უკვირთ თვითონ ბურნაშეთელებსაც.

როგორ შეძლეს ამ სარეკორდო მოსავლის მიღება?

ამ საკითხს მიეძღვნა კოლმეურნეობაში გამართული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, პარტიის ახალქალაქის რაიკომის ბიუროს წევრები.

ბურნაშეთის კლარა ცეტკინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ვ. ქოჩოიანმა და მემინდვრეობის ბრიგადის ხელმძღვანელმა ვ. კურღენიანმა კონფერენციის მონაწილეებს დაწერილებით უამბეს მათ მიერ გატარებული ყველა იმ აგროტექნიკური ღონისძიების შესახებ, რამაც მოსავლის სიუხვე განაპირობა.

ბურნაშეთელებმა თავიანთი გამოცდილებით იცოდნენ, რომ უკეთესი იყო სათესლედ გამოიყენებინათ „მაკესტიკის“ ჯიშის საშუალო ზომის მოყვრმო კარტოფილი, რომელიც ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 50-80 გრამისა, საშუალოდ 100-150 გრამს იწონიდა. ოღონდ თესვის დროს თვითეული ბუდნისათვის უფრო მეტი კვების არე უნდა დაიტოვებინათ. თავიანთი ამ გამოცდილების უფრო ფართო მასშტაბით გამოყენებისათვის მათ ჯერ კიდევ 1975 წელს ადგილზევე, კოლმეურნეობაში, მთელი 70 ჰექტარი კარტოფილის ნათესიდან მოსავლის აღების დროს გადაარჩიეს მხოლოდ 40 ცენტნერი სათესლე მასალა.

გადარჩეული ტუბერები შარშან ერთ ჰექტარზე დათესეს და 500 ცენტნერი მოსავალი მიიღეს. რაკი დარწმუნდნენ, რომ დაკვირვებამ მოლოდინი გაამართლა, ნაცადი მეთოდით საიუბილეო წლის გაზაფხულზე 15 ჰექტარამდე ფართობი დათესეს. სწორედ ამ ნაკვეთის თითოეულ ჰექტარზე იღებენ ახლა ბურნაშეთელები 600 ცენტნერამდე კარტოფილის მოსავალს. ასეთი დიდი მოსავალი მარტო კარგი თესლის დათესვამ როდი გაგაპირობა. საკარტოფილე ნიადაგი დროულად და ხარისხიანად მუშავდებოდა, უნარიანად იყენებდნენ ორგანულ და მინერალურ სასუქებს, თავის დროზე რწყავდნენ და სხვ.

უხვმა მოსავალმა კიდევ უფრო აამაღლა ბურნაშეთელ კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება. შარშან მიღებულ პრემიებთან ერთად აქაურ მეკარტოფილეს კაცდღეზე 13 მანეთი და 60 კაპიკი ხვდა. წელს ფიქრობენ, რომ კაცდღეზე 15 მანეთამდე მიიღებენ. ასეთი მატერიალური დაინტერესება კიდევ უფრო აამაღლებს შრომითს ენთუზიაზმს, რომელიც ბურნაშეთელებში ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიღებამ გამოიწვია.

შ. მაისურაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

• • •

სურათზე: კარტოფილის მოსავალს აღება ახალქალაქის რაიონის სოფელ ბურნაშეთის კლარა ცეტკინის სახელობის კოლმეურნეობაში.

რ. მელიანის ფოტო.

„კომუნისტის“ ინტერვიუ

ლიტერატურა მეგობრობის ხიდია

თბილისის სიმპოზიუმი მისი მონაწილეების აზრით

ამ დღეებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ „ცოდნის“ საზოგადოებათა ერთობლივი სიმპოზიუმი თემაზე „**საბჭოთა ხალხების ლიტერატურული თანამეგობრობა**“. სიმპოზიუმს დამთავრების შემდეგ გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტმა ლ. ქინქლაძემ მისი მონაწილეებისაგან აიღო ორი ინტერვიუ, რომლებსაც ქვემოთ ვბეჭდავთ.

ო. ბაქანიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურისა და მხატვრული თარგმანის კათედრის გამგე, პროფესორი:

— საქართველოს ლიტერატურული ცხოვრებაში პირველი შემოთხვევაა, — თქვა ო. ბაქანიძემ, — რომ ისეთ დიდ სამეცნიერო ცენტრთან ერთად, როგორიც მოსკოვის გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტია, ჩვენთან, თბილისში გაიმართა ეს მეტად მნიშვნელოვანი სიმპოზიუმი. როგორც ცნობილია, საბჭოთა ლიტერატურის შესწავლის საქმეში მოსკოვის გორკის სახელობის ინსტიტუტი მთავარი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრია. მისი პროდუქცია მეტად მრავალფეროვანი და ღრმად მეცნიერულია. სიმპოზიუმი მომზადდა ინსტიტუტის მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის სექციისა და სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურის და მხატვრული თარგმანის კათედრის ბაზაზე. ამ სექციაში ნაყოფიერად მოღვაწეობენ საბჭოთა ხალხების ლიტერატურათა წარმომადგენლები, შექმნილია საყურადღებო ნაშრომები. ჩვენი მეცნიერების, სტუდენტებისა და ფართო საზოგადოების დიდი შეხვედნია საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის ექვსტომეული, რომელიც ინსტიტუტმა გამოსცა სხვა ეროვნული ინსტიტუტების მეცნიერებთან თანამშრომლობით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გ. ლომიძის მეცნიერული მოღვაწეობა. მისი თეორიული ხასიათის ნაშრომებზე საბჭოთა ლიტერატურის მკვლევართა თაობები იზრდება.

ამ დღეებში, როცა მოსკოვში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია ჩვენი ქვეყნის ახალ კონსტიტუციას ამტკიცებდა, სიმპოზიუმს ფიქრი ეჭირა მეცნიერული და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი თორმეტი კაცის წარმომადგენლობით ეწვია ჩვენს დედაქალაქს. პირველ სხდომაზეევ მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ერთიან პროცესზე ისაუბრა გ. ლომიძემ, სიმპოზიუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ლიტერატურის ისტორიის ცენტრალური ინსტიტუტის საბჭოთა ლიტერატურისა და სოციალისტური ქვეყნების ლიტერატურათა განყოფილების გამგემ დოქტორმა ვ. კოვალსკიმ. მსმენელთა წინაშე იგი წარსდგა მოხსენებით „საბჭოთა მრავალეროვნული ლიტერატურის კვლევა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში“.

ლიტერატურის როლი განვითარებული სოციალიზმის სულიერ ცხოვრებაში, გორკის ტრადიციები საბჭოთა ლიტერატურაში, რუსული ლიტერატურის მთლიანობის ფორმირება რევოლუციის პირველ წლებში, მხატვრული თარგმანის თანამედროვე თეორიის პრინციპები და XIX საუკუნის ქართველ მწერალთა მთარგმნელობითი მეთოდი, ოქტომბრის რევოლუცია და ქართულ-უკრაინული ლიტერატურული თანამეგობრობის ახალი ჰორიზონტები, რუსთველი უკრაინულ საბჭოთა ლიტერატურულ კრიტიკასა და პუბლიცისტიკაში და სხვა მრავალი საინტერესო მოხსენებებით წარსდგნენ ჩვენი მეცნიერები სიმპოზიუმზე.

სტუმრებმა დაათვალიერეს საქართველოს ღირსშესანიშნავი ადგილები, ეწვივნენ ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმს, სადაც წაიკითხეს მოხსენებები „საქართველო ვ. მაიაკოვსკის შემოქმედებაში“, „მაიაკოვსკის პოეტიკა და თანამედროვე პოეზიის მხატვრული ძიებანი“.

ბ. ლომიძე, მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის განყოფილების გამგე, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი:

— ამ დიდი ფორუმის მოწვევა თბილისში შემთხვევითი როდია. საბჭოთა კავშირში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის სწავლებისა და კვლევის მნიშვნელოვან ცენტრად ითვლება. აქ ჩამოყალიბებულია და მუშაობს სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურისა და მხატვრული თარგმანის კათედრა, რომელსაც საბჭოთა ხალხების ლიტერატურათა ურთიერთობის განმტკიცებასა და განვითარებაში თავის ღირსეული წვლილი შეაქვს. ამგვარი კათედრები უნდა დაარსდეს ყველა უნივერსიტეტში, რადგან ეს ხელს შეუწყობს ჩვენი საბჭოთა ლიტერატურული მემკვიდრეობის ღრმა შესწავლასა და გამდიდრებას, ეს ჩვენი დროის მოთხოვნილებაა. საბჭოთა ლიტერატურა სსრ კავშირის ხალხთა 76 ენაზე იქმნება. ჩვენი სამშობლოს ხალხთა ლიტერატურა კი მსოფლიოს ხალხთა ლიტერატურის ერთ-ერთი დიდი საგანძურია.

საკლესი

მსოფლიოს ამბები

ძვირფასი ნაპოვნი

ალმოაჩინეს გაზეთ „პროლეტარის“ რამდენიმე იშვიათი ეგზემპლარი

სოფია, (საკადესი). ცნობილი ბულგარელი სოციალისტის პავლე ნონჩევის საოჯახო არქივში აღმოჩენილ საოჯახო „პროლეტარის“ კიდევ რამდენიმე იშვიათი ეგზემპლარი. როგორც ვიცით, ამ გაზეთს რედაქტორობდა ოქტომბრის რევოლუციის დიდი ბელადი ვ. ი. ლენინი. ამას იუწყება ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო. არქივში ნაპოვნი გაზეთებიდან ოთხი ნომერი დაბეჭდილია ჟენევაში, სადაც იმ დროს სწავლობდა პ. ნონჩევი. მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა რევოლუციურ რუს ემიგრაციასთან, მათ შორის ვ. ი. ლენინთან.

ნაპოვნის მნიშვნელობა მეტად დიდია. გაზეთი იმ პერიოდში ფაქტიურად ბოლშევიკების ორგანო იყო. გაზეთის თითოეულ ნაპოვნ ნომერში მოთავსებულია ვ. ი. ლენინის თითო-თითო, ერთ-ერთ მათგანში კი ორი სტატია. სტოლიპინის რეაქციის დროს დაწერილ ამ სტატიებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რევოლუციური პროლეტარიატის სწორი პოლიტიკური ორიენტირებისათვის, მაგრამ მოკავშირეებისა და მტრების ზუსტი განსაზღვრისათვის, ახალი რევოლუციის დაწყებისათვის.

ძვირფასი ნაპოვნი მოწმობს, რომ ბულგარელ სოციალისტებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ რუსეთის რევოლუციური მოძრაობის მოღვაწეებთან. ბულგარეთში 1909 წელს დაბრუნებულმა პ. ნონჩევმა თან ჩამოიტანა საზღვარგარეთელი რუსი ემიგრანტების მიერ გამოცემული ბროშურები და წიგნები. მის არქივშია გაზეთები „ისკრა“, „ვპერიოდი“, „ზარია“ და სხვა პერიოდული გამოცემები, რომლებიც კარგად შემონახულა.

დ. ოუენი:

მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა

ლონდონი, 12 ოქტომბერი. (საკადესი). საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტის შემდეგ ლონდონს დაბრუნებულმა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა თანამეგობრობის საქმეთა მინისტრმა დ. ოუენმა ღრმა კმაყოფილება გამოთქვა საბჭოთა ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების შედეგების გამო. „მეამაყნია, რომ მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა, — განაცხადა მან საკადესის კორესპონდენტასთან მიეკიერეთ ინტერვიუში. — მე და საბჭოთა ხელმძღვანელმა განვიხილეთ ფართო წრის საერთაშორისო პრობლემები და პირველ რიგში განიარაღებისა და დაძაბულობის შენელების საკითხები. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან ლ. ი. ბრეჟნევთან შეხვედრამ და საუბარმა, რომელიც, ისევე როგორც სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთან ა. ა. გრომიკოსთან მოლაპარაკება, ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შემდგომი გაუმჯობესების დიდ იმედებს გვაძლევს. ლ. ი. ბრეჟნევი დიდი სახელმწიფოს ხელმძღვანელია და თვით მასთან შეხვედრა ცხადყოფს, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის განაგითაროს ნაყოფიერი ურთიერთობა დიდ ბრიტანეთთან“.

გენერალური ასამბლეის XXXII სესია

ძველ პოზიციებზე

ნიუ-იორკი, 11 ოქტომბერი. (საკადესი). გენერალური ასამბლეის XXXII სესიაზე არაბული ქვეყნების წარმომადგენლებმა გადაჭრით დაგმეს ისრაელის მანევრები, რომელმაც ახლო აღმოსავლეთში ეგრეთ წოდებული „მშვიდობის გეგმის“ მორიგი ვარიანტი წამოაყენა. ამ გეგმის შესაბამისად, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრმა დაანმა წარმოადგინა, ისრაელი დაეინებით მოითხოვს თავის ყოფნის ეტაპობრივ შეწყვეტას 1967 წელს დაპყრობილ ლაშის სექტორში და მდინარე ორდანის დასავლეთ ნაპირზე. დაიანმა დაადასტურა, რომ ისრაელი „ბრავადარი პირობით არ დათანხმდება, რომ მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდეს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად“, და პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის წინააღმდეგია. ამიგად, ისრაელის „ახალი“ გეგმა არსებითად იმეორებს არაბების მიერ უკვე უარყოფილი ძველი გეგმების ყველა ძირითად დებულებას.

ეგვიპტის უფლებამოსილ წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ა. ბადელ მაგიდმა განაცხადა, რომ დაიანი ძირს უთხრის ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების შანსებს და არაბებისათვის წინასწარ მიუღებელ მოთხოვნებს აყენებს.

ორდანიის წარმომადგენელმა, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრმა ჰ. იბრაგიმმა გენერალური ასამბლეის სესიაზე აღნიშნა, რომ ახლო აღმოსავლეთში მტკიცე მშვიდობა მხოლოდ მაშინ დამყარდება, როცა ისრაელი მთლიანად გაიყვანს ჯარებს ყველა ოკუპირებული არაბული ტერიტორიიდან და უზრუნველყოფს პალესტინის არაბი ხალხის ხელშეუვალ ეროვნულ უფლებებს.

კანგლადეში

ეოქმედებენ ფრიბუნალები

დაკა, 11 ოქტომბერი. (საკადესი). ბანგლადეშის საკონსულტაციო საბჭომ (მთავრობამ) დაიწყო ამხედრო ტრიბუნალები ამ სამხედრო მოსამსახურეთა საქმეების განხილვისათვის, რომლებიც გაეული არიან სახელმწიფო გადატრიალების ამასწინანდელ ცდაში. ... ამოქმედდა ტრიბუნალები, ...ომლებიც ყველა სახეობის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებისაგან შედგება, იუწყება ბალადეშის დეპეშათა სააგენტო. ...ალიციასა და სასაზღვრო ჯარებს ...ბრძანები აქვთ გააძლიერონ ...ძოლა დამნაშავე ელემენტების ...ნაღმდეგ, რომლებიც უკანონოდ ...ობენ ცეცხლსასროლ იარაღს. ...ი აგრეთვე, ნაბრძანები აქვთ ...ერო მკაცრი კონტროლი გაუწიონ სასაზღვრო ზოლში მოსახლეობის ცხოვრებასა და გადაადგილებას. მთავრობამ თავდაცვის საფეო რაზმებს მოუწოდა გაართოონ თანამშრომლობა კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებთან ამ პირთა გამოვლინებისათვის, რომლებიც უკანონოდ ინახავენ ცეცხლსასროლ იარაღს.

კანადა

რთული ვითარება

ისლამაბადი, 11 ოქტომბერი. (საკადესი). ორი მთავარი ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლი დაჯგუფების — პაკისტანის სახალხო პარტიისა და პაკისტანის ეროვნული ალიანსის ხელმძღვანელები მოითხოვენ რაც შეიძლება მალე დანიშნონ ეროვნული ასამბლეის არჩევნების ახალი თარიღი.

ისინი აპირებენ პაკისტანის სამხედრო ადმინისტრაციის მეთაურს ზია-ულ-ჰაკს თავიანთი პოზიცია გააცნონ შეხვედრებზე, რომლებიც ამ კვირაშია მოსალოდნელი. პაკისტანის სახალხო პარტიისა და პაკისტანის ეროვნული ალიანსის ლიდერები მასთან ერთად იმსჯელებენ იმაზე, შესაძლებელია თუ არა ნაწილობრივ მაინც გაიუქმონ პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვა და გაათავისუფლონ პოლიტიკური პატიმრები. პრესის აზრით, ამ შეხვედრების შედეგებზე დიდად იქნება დამოკიდებული, თუ როგორ განვითარდება ქვეყანაში მდგომარეობა, რომელიც საერთოდ ჯერ ისევ რთულია.



ნიკოლოზ ბარათაშვილის ... ...

ოვანა:

თქვენთან დავტოვე გულის ნაწილი

საბჭოთა ქვეყანაში, კერძოდ, საქართველოში კარგად იცნობენ მრავალი საერთაშორისო კონკურსების ლაურეატს, პოპულარულ ბერძენ მომღერალ ჟალს ოვანას. აქტიური საკონცერტო-საშემსრულებლო მოღვაწეობასთან ერთად იგი ამ ბოლო წლებში დიდ ყურადღებას უთმობს პოეზიას. **ამას მოწმობს ოვანას ლექსთა კრებული, რომელიც ახლახან გამოვიდა ათენში და საბერძნეთის ლიტერატურული ცხოვრების საუურადღებო მოვლენად იქცა.**

ოვანას ლექსები, რომლებშიც გადმოცემულია პოეტი ქალის „ყოველნაირი პრობლემა“, ფორმით ფრიად ორიგინალურია და სათვრმნად ძალიან ძნელია. მათ პოეტიკას საფუძვლად უდევს ალიტერაციები, უცნაური ბგერათშეთანხმებანი, ღრმა აზრის ქვეტექსტები. ეს ძალიან სევდიანი ლექსებია, პოემა ქალმა ხომ უძმეზესი დრამა გადაიტანა — სამი შვილი მოუკვდა...

ოვანას ლექსთა ამ კრებულზე და მომღერლის მომავლის გეგმებზე გაზეთ „სოვეტსკაია კულტურას“ მკითხველს ესაუბრება გაზეთის ათენელი კორესპონდენტი ი. სარგეევი.

ოვანა სალონიკის მსუბუქი მუსიკის ფესტივალის ექსტაზის და ბევრი საზღვარგარეთული ფესტივალის ლაურეატია, სიმღერებს შვიდ უცხო ენაზე ასრულებს. მისი ბიოგრაფიის განსაკუთრებული ფურცელია გასტროლები საბჭოთა კავშირში.

— თქვენს ქვეყანაში მე ჩემი გულის ნაწილი დავტოვე, — უთქვამს მომღერალს საბჭოთა კორესპონდენტისათვის, — საბჭოთა კავშირი ის ქვეყანაა, სადაც მუდამ სიამოვნებით ვიმღერებდი. რუსული და ქართული სიმღერები ჩემი რეპერტუარის განუყოფელი ნაწილია, და კონცერტებზე მუდამ ვასრულებ. რომ იცოდეთ, როგორ ვოცნებობ საბჭოთა კავშირში კვლავ ჩამოსვლაზე. ჩემს საყვარელ საბჭოთა მსმენელებს მე გავაცნობდი ყოველივე საუკეთესოს, რაც კი ბოლო წლებში ბერძნულ მსუბუქ მუსიკაში შექმნა. უკვე კარგახანია ამ გასტროლებისათვის ვემზადები და ჩემს რეპერტუარს ამყამად თქვენთან პოპულარული სიმღერებით ვავსებ.



ფეხბურთი

ფრე დონეცკში

დონეცკი. მოსკოველი მსაჯის ე. შკლოვსკის სასტვენის ხმაზე თბილისელები მოედანზე ასეთი შემადგენლობით გამოვიდნენ: გოგია (ცაბელია), კოსტავა, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, ბოკერია, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე (კოპალეიშვილი), გუცაევი, ჩელებაძე, დარასელია.

პირველი ტაიმი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. უკვე მერვე წუთზე სტუმრებს ანგარიშის გახსნის ნაღდი შესაძლებლობა ჰქონდათ — ჩელებაძის ძლიერად დარტყმულ ბურთს ვეღარ წვდებოდა დეკტერიოვი, მაგრამ მას მკერდით გადაეფარა ერთ-ერთი მცველი. მე-40 წუთზე კი მასპინძლებმა ხელიდან აარ გაუშვეს გოლის გატანის შანსი — გოგიას მიერ მოგერიებულ ბურთს მიუსწრო სტარუხინმა და თავით გაგზავნა დინამოელთა კარში.

მეორე ტაიმი თბილისელთა იერიშებით დაიწყო. კარში ურტყამდნენ ჩელებაძე, მაჩაიძე. მაგრამ საიმედოდ თამაშობს ნაკრების მეკარე დეკტერიოვი. 32-ე წუთზე მან აკრობატული ნახტომით გადაარჩინა საკუთარი კარი. მაგრამ მოსახდენი მაინც მოხდა— 34-ე წუთზე ჩელებაძის მიერ თავით მოწოდებული ბურთი ჩივაძემ ლამაზად მოათავსა მასპინძელთა კარის დაბალ კუთხეში.

1:1 — ასე დამთავრდა ეს დაძაბული ასპარეზობა გუშინ „შახტიორის“ ცენტრალურ სტადიონზე.

მატჩს 40-ათასი მაყურებელი ესწრებოდა.

დუბლიორთა შეხვედრაშიც ასეთივე ანგარიში აღინიშნა.

კიდევ 5 მატჩი

გუშინ ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე გაიმართა ეროვნული ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის კიდევ ხუთი მატჩი. აი როგორ დამთავრდა ეს თამაშები:

„ბორპედო“-ცსკა — 0:0

„კრილია სოვეტოვ“-„ლოკომოტივი“ — 1:1

„ზარია“-„არარატი“ — 2:2

„კარპატი“-„ნეფტჩი“ — 2:2

„ჩერნომორეცი“-„ტავრია“ — 1:0

გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ლიგა

მდგომარეობა 13 ოქტომბრისათვის	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ ტ.	25	11	13	1	43-12	35
„დინამო“ თბ.	26	11	12	3	38-23	34
„ტორპედო“	25	10	10	5	22-17	30
„დინამო“ მ.	25	8	13	4	32-20	29
„შახტიორი“	26	8	13	5	25-19	29
„ლოკომოტ.“	24	9	11	4	25-20	29
„კარატი“	26	6	14	6	25-26	26
„ჩერნომორ.“	26	9	8	9	27-34	26
„ზენიტი“	26	7	11	8	28-28	25
„არარატი“	26	6	12	8	25-29	24
„ნეფტჩი“	26	6	12	8	23-30	24
„დნეპრი“	26	8	7	11	21-27	23
ცსკა	25	5	13	7	24-34	23
„ზარია“	26	6	10	10	24-23	22
„კარპატი“	26	5	11	10	23-28	21
„კრ. სოვეტ.“	26	2	6	18	14-49	10

პრეტენდენტთა ნახევარფინალური

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტების ნახევარფინალური მატჩის გადადებული მერვე პარტია წაგო ფილიპინელმა. შეხვედრის ანგარიში ახლა 4,5:3,5 ოქროს სასარგებლოდ.

ვ. ბოგლიჩის ბენეფისი

დეგიუტი სოხუმში

თბილისიდან სოხუმში ჩახუნლმა მოჭადრაკეებმა ბაეკრობა ს. ჭანბას სახელობის დრამატული თეატრის დარბაზში განაგრძეს. გათამაშდა მეხუთე და მეექვსე ტურის პარტიები. პირველ დღეს გიასლისმა მოუგო ზაიჩიკს, ალბურტმა — ნიჩევსკის, ყაბითი დამთავრდა როდრიგესი-რადევის, ხოლმოვი-პლახუტას, გიორგაძე-სეკეის შეხვედრები, შემდგომ ტურში კიდევ ერთ-ერთ ... ...